

საჯარო სამართლის კორპორაცია -  
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის  
წესდება

ქ. თბილისი, 2012 წელი

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სტატუსი

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, პრინციპებს და სამართლებრივ ფორმას, ასევე საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ საკითხებს არეგულირებს „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - „საქართველოს კანონი“) და ეს წესდება.
2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (შემდგომ - „პალატა“) არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისად შექმნილ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს და მათ გაერთიანებებს.
3. პალატას აქვს ემბლემა და ბეჭედი, საბანკო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. პალატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.
4. პალატის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
5. პალატა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად.

### მუხლი 2. მიზნები და ფუნქციები

1. პალატის მიზნები და ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონის მე-3 მუხლში.
2. ამ წესდებით შეიძლება განისაზღვროს პალატის დამატებითი ფუნქციები, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონთან.
3. პალატა წარმოადგენს რეზიდენტი ბიზნეს სუბიექტების ინტერესებს ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლების გარეთ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა რეზიდენტი ბიზნეს სუბიექტები პალატის წევრები.

## თავი II. პალატის წევრობა და საწევრო შენატანი

### მუხლი 3. წევრობა

1. პალატაში შეიძლება გაწევრიანდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები ან/და მათი გაერთიანებები ნებაყოფლობით საწყისებზე, წერილობითი განცხადების საფუძველზე.
2. განცხადება გაწევრიანების შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს პალატაში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებში, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით. განცხადების გარდა პალატაში გაწევრიანების მსურველის მიერ დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება პალატის შიდა აქტით.

3. ნებაყოფლობითი წევრობის საფუძველზე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ასევე რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები იმავდროულად არიან პალატის წევრები.
4. პალატის წევრობის მსურველი პალატის წევრი ხდება პალატის წევრთა რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.
5. ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს პალატის წევრობიდან. პალატის წევრი წევრობიდან გასულად ითვლება თუ:
  - ა) შემოიტანა გასვლის შესახებ განცხადება;
  - ბ) არ იხდის სავალდებულო საწევრო შენატანს (გადამხდელის შემთხვევაში);
  - გ) კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა მისი ლიკვიდაცია.

#### **მუხლი 4. საწევრო შენატანი**

1. პალატის, ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატების წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს მეწარმე სუბიექტებისა და მათი გაერთიანებებისათვის სავალდებულო საწევრო შენატანის გადახდის ვალდებულებას.
2. საწევრო შენატანების ოდენობა და მომსახურების ტარიფები განისაზღვრება პალატის საბჭოს მიერ.
3. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატებს საწევრო შენატანების დაწესება შეუძლიათ მხოლოდ პალატასთან შეთანხმებით.

### **თავი III. პალატის სტრუქტურა და მართვა**

#### **მუხლი 5. პალატის სტრუქტურა**

პალატის სტრუქტურა და თანამშრომელთა უფლებამოსილებათა გადანაწილების წესი მტკიცდება პალატის პრეზიდენტის მიერ.

#### **მუხლი 6. პალატის მართვის ორგანოები**

პალატის მართვის ორგანოებია:

- ა) საერთო კრება;
- ბ) პალატის საბჭო (შემდგომ - „საბჭო“);
- გ) პალატის პრეზიდენტი (შემდგომ - „პრეზიდენტი“).

#### **მუხლი 7. საერთო კრება, დელეგატების არჩევისა და კრების მოწვევის წესი**

1. პალატის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.

2. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

3. პალატის საერთო კრება შედგება დელეგატებისაგან, რომლებიც აირჩევიან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის შესაბამისად. პალატის საერთო კრება შედგება: თითოეული რაიონიდან 2, თვითმმართველი ქალაქიდან 4 და ქ. თბილისიდან 10 დელეგატისგან. ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქიდან საერთო კრებაზე წარმოდგენილი არიან ორ-ორი დელეგატი.

4. დელეგატად არჩეულად ჩაითვლება ის პიროვნება, რომელიც პირველი წარმოადგენს არანაკლებ 10 მეწარმე სუბიექტის ხელმოწერას, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად, გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქისა, საიდანაც დელეგატების კანდიდატურას წარმოადგენს ამ წესდების მიღებამდე მოქმედი სავაჭრო-სამრეწველო პალატები.

5. საერთო კრების დელეგატები აირჩევიან 4 წლის ვადით. მომდევნო ვადით დელეგატის არჩევა ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

6. დელეგატს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) თავისი ინიციატივით;
- ბ) თუ არ ცხადდება საერთო კრებაზე ზედიზედ 3 ჯერ;
- გ) სისტემატიორად არღვევს ამ წესდების დებულებებს;
- გ) არსებობს შესაბამისი საპატიო მიზეზი.

7. საერთო კრების თითოეულ დელეგატს გააჩნიაერთიხმისუფლება.

8. საერთოკრებისმუშაობაშიდელეგატებიმონაწილეობენპირადად.

9. დელეგატს უფლება აქვს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წერილობით გადასცეს სხვა დელეგატს, რომელშიც უნდა აისახოს საერთო კრებაზე პირადი დაუსწრებლობის მიზეზი.

10. მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო ან პრეზიდენტი, გადაწყვეტილებაში აღინიშნება კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი. გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ერთი თვით ადრე მის ჩატარებამდე.

11. გადაწყვეტილება საერთო კრების ჩატარების შესახებ ეგზავნება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს.

12. საერთო კრებას თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე.

13. რიგგარეშე კრება მოიწვევა:

- ა) საბჭოს გადაწყვეტილებით;
- ბ) ამ წესდებით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

14. საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია რიგგარე შეკრების მოწვევის მოთხოვნის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში დანიშნოს რიგგარეშე კრების თარიღი. რიგგარეშე კრება უნდა

ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამასთანავე, საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია კრების დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხი, რომლის განხილვასაც ითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი.

15. საერთო კრება უფლება უნარიანია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი.

16. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

## **მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია**

საერთო კრება:

- ა) ამტკიცებს პალატის წესდებებს დაცვლილებები შეაქვს მასში;
- ბ) ირჩევს პრეზიდენტს ღია, პირდაპირი კენჭისყრით, 4 წლის ვადით, საერთო კრებაზე დამსწრე დელეგატების ხმათა უმრავლესობით;
- გ) ისმენს დაამტკიცებს საბჭოს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ;
- დ) განიხილავს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ წინადადებებს, საკითხებსა და პრობლემებს;
- ე) განიხილავს სხვა საკითხებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად;

## **მუხლი 9. საბჭო**

1. საბჭო არის პალატის პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ორგანო, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პალატის ძირითად პრიორიტეტებზე, მიზნებზე, სტრატეგიაზე.

2. საბჭო შედგება სხვადასხვა მეწარმე სუბიექტების გაერთიანების (ასოციაციის) წარმომადგენლებისა და პრეზიდენტისაგან. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები.

3. დაინტერესებული მეწარმე სუბიექტების გაერთიანების მოთხოვნის ან სხვა კონკრეტული ეკონომიკური სფეროს ხელშეწყობისა და პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის მიზნით საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საბჭოში ახალი წევრის მიღებაზე.

4. საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ.

5. საბჭოს მორიგი სხდომის მოწვევა შეუძლია საბჭოს ნებისმიერ წევრს და პალატის პრეზიდენტს.

6. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო ასრულებს საერთო კრების ფუნქციას, როდესაც საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა საბჭოს სრული შემადგენლობის ხმების 3/4. ხმების თანაბრად გაყოფისას გამომწვევითა საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

7. საბჭოს სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს

თავმჯდომარის უფლებამოსილებებს ასრულებს პალატის პრეზიდენტი.

8. საბჭოს საქმიანობასა და მის ფარგლებში შექმნილი დარგობრივი ქვე-კომიტეტებს კოორდინაციას უწევს საბჭოს თავმჯდომარე.

9. საბჭოს თავმჯდომარის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის წესი და ოდენობა, განისაზღვრება პრეზიდენტის შესაბამისი აქტით.

10. საბჭოს წევრს შეიძლება ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნოს განსახილველი საკითხები, რაზედაც წევრი ელექტრონული ფორმითვე დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას ან/და მიიღებს გადაწყვეტილებას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე. ასეთ შემთხვევაში მას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები უნდა გაეგზავნოს სხდომამდე 5 დღით ადრე.

## მუხლი 10. საბჭო კომპეტენცია

საბჭო:

- ა) განიხილავს და ამტკიცებს წლიური საქმიანობის გეგმებს, პროექტებსა და ანგარიშებს;
- ბ) განიხილავს ეკონომიკური და სხვა საკითხების შესახებ კანონპროექტებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ეკონომიკურ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ;
- გ) ამტკიცებს საქართველოს კანონით განსაზღვრულ მომსახურებისა და საწევრო შენატანების ოდენობასა და ტარიფს;
- დ) წყვეტს პალატის მიერ კრედიტის (სესხის) აღებისა და გაცემის საკითხებს;
- ე) იწვევს პალატის მორიგ და რიგგარეშე საერთო კრებებს;
- ვ) იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს ახალი წევრის მიღებაზე;
- ზ) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით;
- თ) საერთო კრებას ასარჩევად წარუდგენს პრეზიდენტის კანდიდატურას;
- ი) წარმოადგენს ადგილობრივ მეწარმეთა ინტერესებს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ორგანიზაციებში პალატის სახელით და იღებს გადაწყვეტილებას ასეთ ორგანიზაციებში პალატის თანამშრომლობასა და გაწევრიანებაზე;
- კ) საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობისათვის ან საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობისათვის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით პალატის წევრებისათვის განსაზღვრავს დაამტკიცებს საწევრო შენატანების ოდენობას;
- ლ) ახორციელებს პალატის საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლს;
- მ) იღებს გადაწყვეტილებას პალატის მიერ კერძო სამართლის სუბიექტების დაფუძნების საკითხზე;
- ნ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს პალატის მიერ დაფუძნებულან მისი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ ორგანიზაციების საქმიანობაზე;
- ო) ამ წესდებით გათვალისწინებული წესით აფუძნებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს;
- პ) პალატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხების განსახორციელებლად ქმნის სპეციალურ დროებით კომისიებს, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ,

როგორც პალატის წევრები, ასევე სხვა პირები (ექსპერტები, სპეციალისტები);

- ჟ) პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს პალატის წარმომადგენლებს უცხოეთში და საქართველოში;
- რ) იმ შემთხვევაში თუ საკითხი დაკავშირებულია წინამდებარე წესდების მე-3 თავში ცვლილების შეტანასთან, რაც დროის უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს, ასრულებს საერთო კრების ფუნქციებს, საერთო კრებებს შორის პერიოდში;
- ს) ასრულებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

## მუხლი 11. პრეზიდენტი

1. პალატის უმაღლესი თანამდებობის პირია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს საერთოკრება საბჭოს წარდგინებით.
2. პრეზიდენტი ამავედროს არის საბჭოს წევრი.
3. პრეზიდენტი წარმოადგენს პალატას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
4. პალატის პრეზიდენტს უფლება აქვს მოახდინოს საკუთარ უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის დელეგირება გენერალური დირექტორისთვის.
5. პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონითა და ამ წესდებით პალატისთვის მინიჭებული გარკვეული ფუნქციების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატებისათვის, ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით.
6. პრეზიდენტი:
  - ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ვიცე-პრეზიდენტებს, პალატის სტრუქტურაში შემავალ თანამდებობის პირებს, პალატის თანამშრომლებსა და რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების ხელმძღვანელ პირებს;
  - ბ) ამტკიცებს პალატის საშტატო ნუსხას;
  - გ) განიხილავს და ამტკიცებს პალატის ბიუჯეტს საბჭოსთან შეთანხმებით;
  - დ) იღებს გადაწყვეტილებას პალატის წევრად მიღების შესახებ;
  - ე) ქმნის და აუქმებს რეგიონალურ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს ქვეყნის რეგიონული მოწყობის შესაბამისად, წესდებით გათვალისწინებული წესით;
  - ვ) ახორციელებს უძრავი ქონების შეძენას, გასხვისებას დადატვირთვას, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ;
  - ზ) დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს;
  - თ) იღებს გადაწყვეტილებას პალატის მიერ სხვა სახის სავაჭრო-სამრეწველო პალატების (სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად დაფუძნებული, სპეციალურ-დარგობრივი) შექმნაზე და გაუქმებაზე, რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის სფერო განისაზღვრება მათი დაფუძნების აქტით;
  - ი) საქართველოს კანონისა და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს.
  - კ) ასრულებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
7. პრეზიდენტის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) კანონითა და წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების ბრალეული დარღვევა;
- ბ) პირადი განცხადება;
- გ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;
- დ) გარდაცვალება;
- ე) სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშვნა.

8. პრეზიდენტის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიშნება რიგგარეშე საერთო კრება, რომლის მოიწვევა ამ წესდებით დადგენილი წესით. ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

## **მუხლი 12. ვიცე-პრეზიდენტები**

1. პალატას ჰყავს ვიცე-პრეზიდენტი. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტები იმავდროულად არიან პალატის ვიცე-პრეზიდენტები.
2. პალატის ვიცე-პრეზიდენტებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი, მის მიერ განსაზღვრულ სფეროებში საქმიანობის წარმართვის მიზნით.
3. პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტის მიერ მათთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რომლის შესახებაც იგი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

## **მუხლი 13. პალატის მენეჯმენტის გუნდი**

1. პალატის სტრუქტურაში შედის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვევაში ასრულებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, გენერალური დირექტორი და დეპარტამენტები.
2. გენერალური დირექტორი წარმართავს პალატის მიმდინარე საქმიანობას, ხელმძღვანელობს პროექტების განხორციელებას და ზედამხედველობას უწევს პალატის წარმომადგენლებს. გენერალური დირექტორი ასევე ასრულებს პრეზიდენტის მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს.
3. გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და იმ ვიცე პრეზიდენტის წინაშე, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანებით. ხოლო პალატის დეპარტამენტები უფლებამოსილნი და ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე.
4. პალატის დეპარტამენტები ახორციელებენ მათთვის მინიჭებულ საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს. დეპარტამენტების რაოდენობა, შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილებები განისაზღვრება პალატის პრეზიდენტის ბრძანებით.



5. შესაბამისი ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების მიზნით პალატას ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ ამ წესდების, პრეზიდენტის ბრძანებისა და შესაბამისი დეპარტემენტის ხელმძღვანელი პირის ზედამხედველობის შესაბამისად.

6. პალატის სტრუქტურაში შემავალი თანამდებობის პირებისა და დეპარტამენტების უფლებამოსილებები და ფუნქციები განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანებით."

#### თავი IV. პალატის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატების ურთიერთობა

##### მუხლი 14. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატები

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატები არიან წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაციები, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს და მათ გაერთიანებებს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონის, ამ წესდების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობისა და თავიანთი წესდებების შესაბამისად.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატების დაფუძნება შეუძლია პალატას არანაკლებ 20 მეწარმე სუბიექტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის საფუძველზე.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატებშიმეწარმე სუბიექტებისა და მათი გაერთიანებების გაწევრიანება ხორციელდება მათი საქმიანობის ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატები ვალდებული არიან:

- ა) განახორციელონ საქართველოს კანონის და ამ წესდებით გათვალისწინებული პალატის ფუნქციები და ამოცანები, ასევე პალატის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებები;
- ბ) შეასრულონ საბჭოს გადაწყვეტილებები და პალატის პრეზიდენტის ბრძანებები;
- გ) ამ წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერიტორიული პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, წელიწადში ერთხელ წარუდგინონ პალატას თავიანთი წევრი მეწარმე სუბიექტებისა და მათი გაერთიანებების დაზუსტებული სია დასამტკიცებლად. ამასთან, პალატას უფლება აქვს, არ დაამტკიცოს იმ წევრთა სია, რომელთა საქმიანობაც სცდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიულ საზღვრებს;
- დ) არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლის პირველი კვირისა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას წარმოუდგინონ თავიანთი საქმიანობის წერილობითი წლიური

ანგარიში და მიაწოდონ მოსაზრებები საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს უფლება აქვთ:

- ა) დააწესონ საწევრო შენატანები მხოლოდ პალატასთან წინასწარი შეთანხმებით;
- ბ) განსაზღვრონ მათ მიერ გასაწევი მომსახურებები და მათი საფასურები;
- გ) განახორციელონ კანონმდებლობითა და წესდებებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს აქვთ საკუთარი ქონება და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან საკუთარი სახელით. ისინი ფინანსურად დამოუკიდებლობლები არიან პალატისგან და თავად განაგებენ წლიურ ფინანსებს.

8. პალატა პასუხს არ აგებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატების ვალდებულებებზე და პირიქით.

9. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატების სტრუქტურა, მართვის ორგანოები და უფლებამოსილება განისაზღვრება მათი წესდებით, რომელიც შეთანხმებულ უნდა იყოს პალატასთან და უნდა შეესაბამებოდეს პალატის წესდებას.

#### **მუხლი 15. რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატები**

1. რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატები (შემდგომში - რეგიონალური პალატები) იქმნებიან ქვეყნის რეგიონალური მოწყობის გათვალისწინებით პალატის პრეზიდენტის ბრძანებით და წარმოდგენენ პალატის ტერიტორიულ ორგანოს, რომლებიც აერთიანებენ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებსა და მათ გაერთიანებებს.

2. პალატის ტერიტორიული ორგანოები წარმოადგენენ პალატის სტრუქტურულ ერთეულებს და საქმიანობას წარმართავენ ამ წესდებითა და მათი შექმნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად.

3. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე შეიძლება ფუნქციონირებდეს მხოლოდ ერთი რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ამასთან, შესაძლებელია რამდენიმე რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის გაერთიანება მათი ფუნქციებისა და ამოცანების უკეთ განხორციელების მიზნით.

4. რეგიონალური პალატები თავის საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონის, ამ წესდებისა და პალატის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებების შესაბამისად.

5. რეგიონალური პალატების მოქმედების ტერიტორიული საზღვრები, მათი უფლებამოსილება, ამოცანები და ფუნქციები განისაზღვრება პალატის პრეზიდენტის ბრძანებით. რეგიონალური პალატები უშუალოდ ექვემდებარებიან პალატას.

6. რეგიონალური პალატები ვალდებული არიან არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლის პირველი კვირისა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას წარმოუდგინონ თავიანთი

საქმიანობის წერილობითი წლიური ანგარიში და მიაწოდონ მოსაზრებები საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

7. ყველა იმ ქონებისა და უფლება-ვალდებულებების სამართალმემკვიდრე, რომელიც ამ წესდების მიღებამდე ეკუთვნოდათ რეგიონალურ პალატებს, არის პალატა.

8. რეგიონალურ პალატებს ჰყავთ რეგიონალური პალატის უფროსი და მოადგილეები. რეგიონალური პალატის უფროსი ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია რეგიონალური პალატის ყოველდღიურ საქმიანობასა და ფუნქციების შესრულებაზე.

9. რეგიონალური პალატის უფროსსა და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პალატის პრეზიდენტი.

## **თავი V. პალატის ფინანსები**

### **მუხლი 16. პალატის ფინანსები**

პალატის ფინანსები შედგება:

- ა) საწევრო შენატანებისაგან;
- ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებისაგან;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან.

## **თავი VI. პალატის საქმიანობის შეწყვეტა**

### **მუხლი 17. პალატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

1. პალატის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის ან მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პალატის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ შესაბამისი აქტით განისაზღვრება პალატის დარჩენილი ქონების განაწილების წესი.

## **თავი VII. დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 18. წესდებაზე ხელმოწერა**

ამ წესდებას ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კრების მიერ დამტკიცებული წესდებისა და ხელმოწერილი წესდების ტექსტების იდენტურობაზე.

### **მუხლი 19. წესდების ძალაში შესვლა**

1. ეს წესდება ძალაშია 2012 წლის 10 სექტემბრიდან.

2. ამ წესდების ძალაში შესვლისთანავე ძალას კარგავს ამ წესდების ამოქმედებამდე მოქმედი პალატის წესდება.

საერთო კრების თავმჯდომარე

-----

საერთო კრების მდივანი

-----